უფასო

ჩემი გაზეთი

30 სექტემბერი
2018 წელი

№6 (34)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.ჰ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ბაღდათელი და პოლონელი მოსწავლეების დამეგობრება

ბაღდათსა და ლისომიცეს შორის დაწყებული საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 13 წარმატებული მოსწავლე და ორი მასწავლებელი 15-22 სექტემბერს პოლონეთში იმყოფებოდნენ. დაუმეგობრდნენ თანატოლებს და იქაურ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობდნენ. „ჩემი გაზეთი“ ქალაქ ბაღდათისა და სოფელ დიმის №1 საჯარო სკოლების პედაგოგებს – ნათია მეფარიშვილსა და ნანა ხარატიშვილს პოლონეთში ვიზიტსა და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე ესაუბრა.

როგორც თავად აღნიშნეს, ლისომიცე პატარა, ლამაზი ქალაქია, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურითა და თბილი, სტუმართმოყვარე ხალხით. ისინი ქალაქ ლისომიცეში, წიწვნარში მდებარე სასტუმროში დაბინავდნენ. ყოველდღიურად ესწრებოდნენ ლისომიცესა და ტუჟნოს საჯარო სკოლებში მიმდინარე გაკვეთილებს. განათლების დონით ბაღდათელი მოსწავლეები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ თანატოლებს, მათ იქაური პედაგოგების დიდი მოწონება დაიმსახურეს. პოლონეთის სკოლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტს და, ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტუჟნოს საჯარო სკოლა. ჩვენი მოსწავლეები სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეეჯიბრნენ თანატოლებს და მხოლოდ კალათბურთში აჩვენეს თანაბარი შედეგი, დანარჩენ სახეობებში მასპინძლები ლიდერობდნენ. ჩვენს პედაგოგებს - ნანასა და ნათიას, დიდი სურილი აქვთ, ქართულ საჯარო სკოლებშიც სპორტი ისეთივე პოპულარული საგანი გახდეს, როგორც პოლონეთშია.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლისომიცესა და ტუჟნოს საჯარო სკოლების მოწესრიგებულმა ინფრასტრუქტურამ, სუფთა გარემომ, რომლის შენარჩუნებაზეც თითოეული მოსწავლე ზრუნავს. აქ, სპორტის გარდა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცნიერულ საგნებს - ქიმიას, ფიზიკასა და ბიოლოგიას. შესაბამისად, სკოლებში ლაბორატორიები თანამედროვე სტანდარტებითაა აღჭურვილი. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლებას - არის აღნიშნული ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოთახი, სადაც მოსწავლეების მიერ აწყობილი რობოტებია გამოფენილი. სკოლაში მოსწავლეები ჯანსაღად იკვებებიან. სადილზე, რომელიც გაკვეთილებს შორის იმართება, მიირთმევენ ხილს, ბოსტნეულსა და წვნიანს.

ტუჟნოსა და ლისომიცეს საჯარო სკოლის მოსწავლეებს (13-13 წარმატებული მოსწავლე) ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ ბაღდათელ თანატოლებთან. მათთან ერთად ესწრებოდნენ გაკვეთილებს, დადიოდნენ ექსკურსიებზე, სეირნობდნენ ველოსიპედით (ქალაქში მოწესრიგებულია ველობილიკები, მოძრაობის წესები). ლისომიცეს საჯარო სკოლაში ესწრებოდნენ ქიმიის, ინგლისურისა და მათემატიკის გაკვეთილებს, ტუჟნოს სკოლაში – სპორტსა და ხელოვნებას. მათ განსაკუთრებით ინგლისურ ენაში გამოიჩინეს თავი. დიდი მოწონება დაიმსახურა გიორგი ებანოიძის მიერ შესრულებულმა მუსიკალურმა ნაწარმოებებმა, განსაკუთრებით შოპენის კომპოზიციებმა. ისინი იმდენად დაინტერესდნენ მისით, რომ შესაძლოა მომავალში ითანამშრომლონ მასთან. თავის მხრივ, ბაღდთელი მოსწავლეებიცა და პედაგოგებიც ცდილობდნენ, ჩვენი მუნიციპალიტეტის გაცნობის მიზნით, ბაღდათის ბუნებასა და ღირსშესანიშნაობებზე გადაღებული ვიდეოები ეჩვენებინათ მასპინძლებისთვის. ის სითბო, სტუმართმოყვარეობა და პატივისცემა, რომელიც პოლონელებმა სტუმრების მიმართ გამოიჩინეს იმაშიც გამოიხატა, რომ ლისომიცეს საჯარო სკოლაში ქართული სტენდი დაახვედრეს, სადაც ინგლისურენოვანი ტექსტითა და ფოტოებით ბაღდათის ისტორია იყო წარმოდგენილი.

როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, ყოველი დღე საკმაოდ დატვირთული ჰქონდათ. სტუმრობდნენ კოპერნიკის სახელობის საგანმანათლებლო ცენტრს – „ცოდნის წისქვილს“. იგი ხუთსართულიან დაწესებულებას წარმოადგენდა და ასაკობრივი ჯგუფების შესაბამის ზონებად იყოფოდა. პირველი სართული სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი. მეცნიერული ფაქტები, რომლებსაც კოპერნიკი ამტკიცებდა, თითოეულ სართულზე შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფისთვის გასაგებად იყო წარმოდგენილი. აქ მთავარი იყო ის, რომ ცენტრის დამთვალიერებელს შეეძლო, ყველაფერს შეხებოდა და თავად გაეკეთებინა ესა თუ ის აქტივობა. ამ ცენტრმა ჩვენი მოსწავლეები და პედაგოგები განსაკუთრებით დაინტერესა. ექსკურსიების ფარგლებში დაათვალიერეს სხვადასხვა ისტორიული ქალაქი, შოპენის სახლ-მუზეუმი (იგი ამჟამად სასტუმროდაა გადაკეთებული), მოინახულეს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ობსერვატორია და რალის მოედანი. სტუმრობდნენ ქალაქ ლისომიცეს მერიის ადმინისტრაციულ შენობას, სადაც მეგზურობას თავად მერი უწევდათ.

როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, ეს საგანმანათლებლო პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია როგორც მუნიციპალიტეტისათვის, ასევე ჩვენი საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის. მათ იქ ყოფნისას არა მხოლოდ ახალი მეგობრები შეიძინეს, არამედ ბევრი რამ ისწავლეს. იქ მიღებული შთაბეჭდილებები მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ. წამოსვლისას, სამახსოვრო საჩუქრების გაცვლის შემდეგ, ისინი ქალაქის მერმა გააცილა აეროპორტში. ბაღდათში ლისომიცეს თვითმმართველობის წარმომადგენლები მოსწავლეების ჩამოყვანას მაისში, სასწავლო წლის მიმდინარეობის პერიოდში გეგმავენ, რათა მათაც შეძლონ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის მიღება.

მარიამ ოძროჭელიძე

ინტერვიუ დეპუტატთან

– საპარლამენტო არჩევნებიდან 2 წელი გავიდა, როგორ შეაფასებთ განვლილ წლებს?

– 2 წლის სრულფასოვან ანგარიშს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ძალიან მალე წარვუდგენ. დეტალურად გავესაუბრები არამარტო ერთი შეხვედრის ფორმატში, არამედ გავალ სოფლებში და მივაწოდებ ინფორმაციას ჩემი საქმინობის შესახებ, რომელშიც შეიძლება ორი მიმართულება გამოვყოთ – წმინდა საპარლამენტო საქმიანობა და მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. საპარლამენტო აქტიურობით რამდენად გამორჩეული ვარ, ამას საზოგადოება თვითონაც ხედავს. მქონდა არაერთი გამოსვლა პარლამენტის ტრიბუნიდან სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. როგორც ვფიქრობ, ამ მოწვევის პარლამენტის ყველაზე დიდი მიღწევა გახლდათ ახალი კონსტიტუციური კანონის მიღება. სწორედ მისგან გამომდინარეობს ყველა საკანონმდებლო ნორმატიული აქტი თუ კანონი. ჩვენ გვაქვს განახლებული ევროპული ტიპის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სახელისუფლებო მოწყობა, წამყვანი როლი დაეკისრა პარლამენტს. მთავრობის ფორმირება უკვე მთლიანად მისი პრეროგატივაა.

საპარლამენტო საქმიანობიდან გამოვყოფ ჩემს რამდენიმე ინიციატივას, რამაც მოაწესრიგა საკანონმდებლო სივრცე. კანონმდებლობით ვერ რეგულირდებოდა შემთხვევა, როდესაც მერი და მერის მოადგილეები არ ასრულებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას. სწორედ ბაღდათში გვქონდა გასულ წლებში მსგავსი პრობლემა და, ვფიქრობ, რომ პრაქტიკულმა გამოცდილებამ მომცა შესაძლებლობა ამ მიმართულებით წარმედგინა კანონპროექტი. ჩემი ინიციატივით გახლდათ შემოტანილი ახალი ცვლილება, რომელიც გულისხმობს მერის, მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის არყოფნის შემთხ-

გაგრძელება მე-2 გვ.

ეკო-არტ ფესტივალი

ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებისა და მისი მშობლიური მხარის ბაღდათის საერთაშორისო ასპარეზზე პოპულარიზაციის მიზნით, პოეტის 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 5-12 ოქტომბერს გაიმართება საერთაშორისო ეკო-ხელოვნების ფესტივალი „ბაღდათის ზეცა“. ფესტივალის დაარსებას ბაღდათში ჩაეყრება საფუძველი და მისი მიზანია, ყოველწლიურად მაიაკოვსკის შემოქმედების თაყვანისმცემლებმა გერმანიაში, რუსეთსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (სადაც პერიოდულად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი) მოახდინონ პოეტის შემოქმედებისა და იმ ქვეყნის პოპულარიზაცია, სადაც დაიბადა და გაიზარდა იგი.

ფესტივალის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტს ეწვევიან, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე საზღვარგარეთიდან: მწერლები, პოეტები, მხატვრები, თეატრალები, მუსიკოსები, ქვაზე და ხეზე კვეთის ოსტატები, კერამიკოსები. ფესტივალში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნება იმერეთის რეგიონის მოსწავლე-ახალგაზრდობას. მათთვის სტუმრები ჩაატარებენ მასტერკლასებსა და ლიტერატურულ გაკვეთილებს. ადგილზე მოხდება ქვაზე და ხეზე კვეთა, კერამიკული ნაწარმის დამზადება, თექისა და ტიხრული მინანქრის ნაკეთობების შექმნა. ფესტივალი დაიხურება გალაკონცერტით, რომელშიც ადგილობრივ მუსიკოსებთან ერთად სტუმრებიც მიიღებენ მონაწილეობას. მოხდება საპატიო ბაღდათელების დაჯილდოება, ფესტივალის ფარგლებში შექმნილი ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა.

13 ოქტომბერს კი აჯამეთის ტყეში გაიმართება ნატურალური პროდუქტების ფესტივალი, სადაც ბაღდათის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს ექნება მოწყობილი თავისი ეთნოგრაფიული კუთხე და იმერული სამზარეულო. იქვე ბაღდათის საოჯახო ღვინის მარნები იქნება წარმოდგენილი. ფესტივალის ქართველ და უცხოელ სტუმრებს ექნებათ იმერული კერძებისა და ღვინოების დაგემოვნების შესაძლებლობა.

ინფორმაცია მოგვაწოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის
უფროსმა ნინო მეშვილდაძემ

დასაწყისი 1 გვ.-ზე

ვევაში მათი მოვალეობების საკრებულოს თავმჯდომარეზე (მისი არყოფნის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელზე) სრულად გადასვლას. ბოლო კანონპროექტი, რომელიც ასევე ჩემი და ბატონი ზაზა გაბუნიას ინიციატივა გახლდათ, არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანა. მასში იგულისხმება მუნიციპალურ დონეზე იმ ორგანოს განსაზღვრა, რომელიც მოახდენს რეაგირებას მინიჭებული უფლებამოსილებით გარე იერსახის, პარკირების წესებსა და სხვადასხვა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ დარღვევებზე. ამ მიმართულებით პასუხისმგებელ ორგანოდ განვსაზღვრეთ მუნიციპალიტეტები. ისინი შეძლებენ დარღვევების გამოვლენას და, უფრო მეტიც, შესაბამისი სამსახურები, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, მოახდენენ საჯარიმო სანქციების დაწესებასა და ამოღებას.

უნდა შევეხო ძალიან მნიშვნელოვან თემას, რომელიც პარლამენტში ბოლო დღეებში ტრიალებდა, ეს გახლავთ კანაფის მოხმარების რეგულაცია. მოსახლეობას, ალბათ, აინტერესებს მათ მიერ არჩეული დეპუტატის აზრი. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რითაც ამ მიმართულებით სრულად დაუცველი დატოვა საზოგადოება. პარლამენტის მიერ ამ საკითხის დარეგულირებამდე არ არსებობდა არანაირი რეგულაციები, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნებოდა, ვის ჰქონდა უფლება მიეღო კანაფი, რომელ ტერიტორიებზე და ა.შ. ცხადია, ამ საკითხს საზოგადოებისთვის საშიშ და მოუწესრიგებელ ფორმატში ვერ დავტოვებდით. პირველი მოსმენით მივიღეთ კანონი, რომლითაც რეგულირდება და ბალანსდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. პირადი სივრცის გარდა, მარიხუანას მოხმარება ყველგან იკრძალება, 21 წლამდე პირებისთვის კი აბსოლუტურად ყველგან, მათ შორის პირად სივრცეში მოხმარებაც დაუშვებელია. საჯარო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მისი მიღება აკრძალულია. არასრულწლოვანთან კანაფის თრობის ქვეშ ყოფნა იკრძალება და ისჯება კანონით, ხოლო ავტომანქანის ან სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მართვა კანონით სისხლის სამართლებრივი ფორმით დასჯადი გახდა - სასამართლო უფლებამოსილია, ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯოს პირს. ჩვენ უფრო მეტად გავამკაცრეთ ამ მიმართულებით კანონი, ვიდრე მანამდე არსებობდა. რაც შეეხება სამედიცინო დანიშნულებით მარიხუანას წარმოება-კულტივაციას, წარმოდგენილ კანონპროექტში ის გარანტიები, რომელზედაც მთავრობა და განსაკუთრებით შსს საუბრობდა (დაცული იქნებოდა საზოგადოების ინტერესები და არ მოხდებოდა სხვა მიმართულებით მისი გამოყენება), ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა. მივიჩნიეთ, რომ ეს არის რისკის შემცველი და ამიტომ აღნიშნული კანონპროექტი, მთავრობისა და პარლამენტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, განუხილველი დარჩა. მითუმეტეს, აღნიშნულ საკითხში აქტიურად იყო ჩართული საზოგადოების დიდი ნაწილი და მართლმადიდებელი ეკლესია – სამღვდელოების წარმომადგენლები. ჩვენი ამომრჩევლებისა და ეკლესიის საწინააღმდეგოდ არ გადავდგამდით ნაბიჯს და ასეც მოხდა. მიმაჩნია, რომ მივეკუთვნები იმ დეპუტატთა რიცხვს, რომლებიც უსმენენ თავიანთ ამომრჩეველს და მათ ინტერესებზე ამყარებენ გადაწყვეტილებებს.

– გვესაუბრეთ თქვენი და ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლების ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

– მე შემიძლია ვთქვა, რომ თვითმმართველობის დონეზე ბაღდათს ჰყავს ეფექტური, პროდუქტიული ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც მუშაობენ და მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ. ბევრი რამ არის საჭირო, რომ ბაღდათის პოტენციალი სრულად იყოს გამოყენებული. ადგილობრივ თვითმმართველობასთან ვთანამშრომლობ და ხშირად გვაქვს კონსულტაციები ისეთ თემებზე როგორიცაა: მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრა, ინფრასტრუქტურული პროექტები, მათი შესრულება, ხარისხი, ვადები, და ასე შემდეგ. რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებში კი არ ვერევი და ასეც უნდა იყოს, რადგან მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას აქვს თავისი უფლებამოსილებები– დეპუტატს კი თავისი. თუმცა, რადგან არ ვერევი, არ ნიშნავს, რომ დაინტერესებული არ ვარ. ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც ახალი მერი და განახლებული საკრებულო ჰყავს ბაღდათს. ისინი მოსახლეობასა და საკრებულოს გაწეული საქმიანობის შესახებ წარუდგენენ ანგარიშს, რომელსაც აუცილებლად დავესწრები. ჩემთვისაც საინტერესო იქნება, მსურს, უფრო დეტალურად მოვისმინო, რას საქმიანობს მერია და საკრებულო, რა პრობლემების წინაშე დგანან. ასეთ შემთხვევაში დავდგები ბაღდათელების მიერ არჩეული მერისა და საკრებულოს გვერდით, რადგანაც ჩვენ საერთო ინტერესები გვამოძრავებს - ბაღდათი იყოს უფრო მეტად განვითარებული და ნაკლები პრობლემებით წარმოდგენილი. ნათელია, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ხალხის პრობლემებზე ორიენტირებული. მიმაჩნია, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის პირებისა და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მე უნდა ვიყო ხიდი მათსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, ასეც ვაკეთებ. აქტიური კონსულტაციები გვქონდა 2019 წლის პროექტების დაგეგმვაზე. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა ის შემოქმედებითი ხედვები, რომლითაც ადგილობრივი ხელისუფლება, მათ შორის მერი გამოირჩევა. მისი ინიციატივით სამომავლო პროექტებში ჩადებულია ტურისტული ზონების მოწყობა, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების კარგ საშუალებას იძლევა. ბაღდათისთვის აღნიშნული მიმართულება უცხო არ არის, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო მასშტაბური უნდა გახდეს და მუნიციპალიტეტს მეტი შემოსავალი მოუტანოს. ამ სეგმენტში შემომაქვს ერთი სიახლე, ბაღდათის მუნიციპალიტეტმა უნდა დააწესოს ადგილობრივი მოსაკრებელი, რომელიც გულისხმობს ტურისტული აქტივობებიდან გარკვეული შემოსავლის მიღებას. ამის გამოცდილება სხვა მუნიციპალიტეტებში გვაქვს. ის შემოსავალი, რაც ბაღდათს გააჩნია, უნდა გავაორმაგოთ. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში უფრო მეტი მუშაობაა საჭირო. სწორედ ამიტომ მოხდა ბაღდათისა და ლისომიცეს დამეგობრება, მათ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ბევრ სეგმენტს მოიცავს. მაქსიმალურად უნდა შევძლოთ ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებული რესურსების გამოყენება, მათ შორის გამოვყოფდი ხილ-კენკროვნებს. ამ მიმართულებით გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით. მუნიციპალიტეტში არის რამდენიმე დაფინანსებული პროექტი, რომელიც ჩაის დამზადებას გულისხმობს, კანონმდებლობა კი შესაბამისობაში არ არის მოსული. ბიზნესსექტორის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე მომაკითხეს და მთხოვეს დახმარება ლიცენზიის საკითხის მოგვარებაში – მიიღონ უფლება ერთწლოვანი კულტურების გადამუშვებისა და ბაზარზე გატანისა. გარემოს დაცვის კომიტეტთან ვმუშაობ ამ საკითხზე. ჩვენ გვექნება ახალი ტყის ახალი კოდექსი და ასეთი ადამიანებისთვის მძლავრი ნაბიჯები გადაიდგმება, ისევე როგორც ხე-ტყის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირებისთვის. ეს კოდექსი ორიენტირებული იქნება გარემოს მკაცრ დაცვაზე და, ამავდროულად, იმ რესურსების ხელმისაწვდომობაზე, რაც საზოგადოებას აინტერესებს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში (დასაქმების პრობლემა ზოგადად ქვეყანაში არსებობს) ნომერ პირველი პრობლემა არის სასმელი წყლის მოგვარება. ბაღდათს არ აქვს წყალარინების სისტემა, ამ კუთხით ჩვენ დონორ ორგანიზაციებთან ვმუშაობთ, ვინაიდან ამ პროექტების განხორციელება საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. მოსახლეობას არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ჩვენ ამის მოსაგვარებლად არაფერს ვაკეთებთ. წყლის პრობლემა სოფლებშიც მოსაწესრიგებელია. მაგალითად, ფერსათში წყლისშემკრები სისტემა უკვე გაკეთდა და მოსაგვარებელი რჩება დაქსელვა. როგორც ვიცი, 2019 წლის პრიორიტეტებში ეს საკითხი ჩასმულია. სამწუხაროდ, სოფლების შემთხვევაში ჯერჯერობით მხოლოდ მუნიციპალიტეტის დონეზე ხდება პრობლემების მოგვარება, კომპანიები არ არის ამაზე პასუხისმგებელი. რა თქმა უნდა, აღნიშნული საკითხი სხვა სოფლებშიც უნდა მოწესრიგდეს ეს იქნება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თუ სხვა დონორი ორგანიზაციებიდან. სამინისტროებთან მუშაობის მიმართულებით გამოვყოფ რამდენიმე საკითხს, რომელიც ბაღდათისთვის მოგვარდა და მოწესრიგდა. ერთ-ერთი პრობლემა იყო მუნიციპალიტეტში სასწრაფოს ცენტრის შენობის არარსებობა. ჩვენ მოვაგვარეთ ინფრასტრუქტურული მხარე და დღეს გვაქვს ახალი შენობა. ძალიან მალე მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა დეტალებიც დასრულდება. მნიშვნელოვანი იყო ხანისთვის მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მინიჭება. მთავრობასთან აქტიური მუშაობით ჩვენ ამას მივაღწიეთ და ამიერიდან მოსახლეობას შეეძლება დამატებითი შეღავათებით სარგებლობა. რაც შეეხება გაზიფიცირებას, ბაღდათის მუნიციპალიტეტი სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით იმერეთში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით არის წარმოდგენილი, დარჩენილია კრიტიკული ადგილები (მაღალმთიანი სოფლები). მე მქონდა არაერთი დებატი ეკონომიკის სამინისტროსთან საკომიტეტო მოსმენის ფარგლებში, ეს პრობლემა არა მარტო ბაღდათში, არამედ ხარაგაულსა და ზესტაფონშიც დგას. როდესაც ხე-ტყის მომხმარება შეზღუდულია, ჩვენ მოსახლეობას უნდა შევთავაზოთ ალტერნატიული გზები, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში. ამისთვის ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ.

– რამდენად ხშირად მოგმართავთ მოსახლეობა და ძირითადად რა პრობლემები იკვეთება?

– ცხადია, მოსახლეობის ძირითადი პრობლემა არის დასაქმებასა და სახელმწიფო შემწეობასთან დაკავშირებული საკითხები. ხშირად მოდიან უკმაყოფილო ადამიანები, რომელთაც დახმარება არ დაენიშნათ ან ჰქონდათ და მოეხსნათ. ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხის მოგვარებაზე და, ალბათ, სამინისტრო მალე წარმოადგენს თავის ხედვებს ახლებური სისტემის მოწყობის კუთხით. კარგი იქნებოდა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა არ გვყავდეს, მაგრამ ეს რეალობაა და სახელმწიფოს მხრიდან დახარჯული რესურსი სწორად უნდა განაწილდეს. ზოგადად მუნიციპალიტეტის პრობლემებზე კი უკვე ვისაუბრეთ. აქტიურობით ბაღდათელები გამოირჩევიან, ხშირად ჩამოდიან ქუთაისში ჩემთან შესახვედრად, ასევე ხშირად მიკავშირდებიან ტელეფონზე. ყოველთვის ვცდილობ, ვუპასუხო ზარებს და მოვუსმინო მათ. დეპუტატის ბიუროში მოსვლისას ისინი მიიღებენ ამომწურავ პასუხს. ნებისმიერ მათგანს უნდა ჰქონდეს განცდა იმისა, რომ დეპუტატი მათ სამსახურშია და არასოდეს გაურბის საზოგადოებასთან ურთიერთობას.

ანა ქორიძე

ახალი ტექნიკა სოფლის ბიბლიოთეკებს

პროექტის – „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლების წითელხევისა და I ობჩის ახლადაღდგენილ ბიბლიოთეკებს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ საჩუქრად კომპიუტერული ტექნიკა (პერსონალური კომპიუტერი, მრავალფუნქციური ლაზერული პრინტერი) გადასცა და ინტერნეტით უზრუნველყო. საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა რუსუდან ასათიანმა და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა: ლოლა სანაიამ, უჩა ჯიბღაშვილმა, ქეთი თომაძემ და ნინო ხმალაძემ კომპიუტერულ ტექნიკასთან ერთად ორივე ბიბლიოთეკისთვის წიგნებიც ჩამოიტანეს. თანამედროვე ინტერნეტმომსახურებების გარდა, ბიბლიოთეკებს შეუძლიათ ადგილობრივი თემისთვის ბევრად მეტი სერვისების მიწოდება. ბიბლიოთეკა სოფლისთვის ერთგვარი საინფორმაციო ცენტრი უნდა გახდეს. ორივე სოფლის ბიბლიოთეკარებმა შესაბამისი გადამზადების კურსები გაიარეს.

პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას – თანამედროვე ინტერნეტსერვისები ადგილობრივი მოსახლეობისათვის“ 2016 წელს დაიწყო და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფინანსური დახმარებითა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ხორციელდება.

ᲑᲐᲦᲓᲐᲗᲔᲚᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲐ

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ საქართველოში პირველად გასულ წელს ჩატარდა კოალიცია „განათლება ყველასათვის – საქართველო“ და „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ ორგანიზებით. კონკურსის მიზანია მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია, ასევე წარმატებული პედაგოგის გამოვლენა და მისი საზოგადოებისთვის გაცნობა.

იმ კრიტერიუმებიდან, რომელსაც კონკურსში მონაწილე მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს, ყველა მნიშვნელოვანია, მაგრამ უპირველესი, რასაც ჟიური ყურადღებას აქცევს, მოსწავლეთა შედეგების დინამიკაა – რამდენად აუმჯობესებს კონკრეტული მასწავლებელი მოსწავლეების სწავლის შედეგებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებასაც – რამდენად უწყობს ის ხელს არა მხოლოდ საგნის, არამედ, ზოგადად, მასწავლებლის პროფესიის განვითარებას.

წლევანდელი კონკურსისთვის განაცხადი 104-მა აპლიკანტმა შეავსო. მათგან საუკეთესო ათეული 15 ივნისს გამოვლინდა. ერთ-ერთი ქ. ბაღდათის №2 საჯარო სკოლის ინგლისური და რუსული ენების მასწავლებელი მანანა კაპეტივაძე გახლდათ. „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ ფინალისტების ვინაობა – საუკეთესო ხუთეული 5 სექტემბერს გახდა ცნობილი. ქალბატონი მანანა ფინალისტებს შორისაა.

ქალბატონმა მანანამ 1989 წელს დაიწყო მუშაობა ბაღდათში, სოფელ როხის საჯარო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად (ამავე წელს დაოჯახდა). ასევე მიიწვიეს რუსულის პედაგოგად სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლაში. სადეკრეტო შვებულების შემდეგ, 1995 წლიდან სოფელ დიმის №1 საჯარო სკოლაში დაინიშნა ინგლისური ენის პედაგოგად, სადაც, როგორც თავად აღნიშნავს, ყველაზე ნაყოფიერი 10 წელი გაატარა. 2003 წლიდან მუშაობა დაიწყო პარალელურად ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლაში, სადაც ფრანგული ენა ინგლისურმა ჩაანაცვლა. 2012 წელს შპს №1 სკოლაში (გოქაძის სკოლა) ასწავლიდა. 2015 წლიდან ბაღდათში დაბრუნდა და დღემდე მუშაობს ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლაში. 2006-დან 2014 წლამდე თანამშრომლობდა მშვიდობის კორპუსთან განათლების ტრენერად. იგი არის TEA პროგრამის გამარჯვებული, გავლილი აქვს სტაჟირება აშშ-ში. 2003 წელს სასკოლო მიღწევებისათვის მიღებული აქვს ღირსების ორდენი. მისთვის მასწავლებლობა მუდმივ განვითარებასა და სიახლეებისათვის მზაობას გულისხმობს. მშვიდობის კორპუსის მოხალისესთან არი ჰაიერსთან ერთად, რომელიც ქ. ბაღდათის №2 საჯარო სკოლაში 2 წელი იმყოფებოდა, არაერთი პროექტი განახორციელა. ისინი კოლეგებისთვის ატარებდნენ ტრენინგებსა და სემინარებს, აწყობდნენ ინგლისური ენის საზაფხულო ბანაკებს. ქალბატონი მანანას ინიციატივით, რეგიონული მასშტაბით, რამდენჯერმე ჩატარდა ინგლისური ენის კონკურსი. მანანა კაპეტივაძის მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი შედეგებით კონკურსებში, ოლიმპიადებსა თუ გამოცდებზე. უცხო ენების სწავლებასთან ერთად იგი ცდილობს ახალგაზრდებისათვის თვითრეალიზების დამატებითი საშუალებების შექმნას. ამ მიზნით, არი ჰაიერსთან ერთად, ჩამოაყალიბა ბაღდათის გოგონათა კალათბურთის ლიგა, რომელშიც მუნიციპალიტეტის 9 სკოლის გოგონათა გუნდია გაწევრიანებული. მისი თანაავტორობით მომზადდა ინგლისური ენის სასწავლო მოდული ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ინიცირებული საგანმანათლებლო პროექტის „ტოლერანტობა და ინგლისური ენა“ ფარგლებში, რის შედეგად 200-მდე იძულებით გადაადგილებულმა ბავშვმა შეისწავლა ინგლისური ენის საბაზისო კურსი.

მანანასთვის მასწავლებლის მთავარი ფუნქცია არა მხოლოდ საგნის სწავლება, არამედ მოსწავლეებისათვის სწორი ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაა. ის ცდილობს მოსწავლეებისთვის ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელშიც შეძლებენ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმასა და განსხვავებული აზრის პატივისცემას.

ქალბატონი მანანა აქტიურად მუშაობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისათვის. მასწავლებლის პროფესიის განვითარების მიზნით ატარებს ტრენინგებს ქართველი მასწავლებლებისა და ამერიკელი მოხალისეებისთვის. აღსანიშნავია, რომ დღეს მისი 11 მოსწავლე ინგლისური ენის წარმატებული პედაგოგია.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ის ხელმძღვანელობს ბაღდათის ინოვაციურ ცენტრს, სადაც ნებისმიერი ასაკის ადამიანს ცოდნის მიღებისა და თვითგანვითარების შესაძლებლობა აქვს. აქ ახალგაზრდები• მიკროელექტრონიკას, კომპიუტერულ უნარებს, ვებგვერდის აწყობას სწავლობენ. ასევე ხორციელდება ახალი ონლაინ მედიაპროექტი ჩენერატიონ ძ/ახალი თაობა, სადაც მოსწავლეები ჟურნალისტიკის საფუძვლებს ეუფლებიან, მულტიმედია პროდუქტს ქმნიან, აშუქებენ საინტერესო ამბებს და ბაღდათს აცნობენ მკითხველს, ასევე ქმნიან საინფორმაციო ველს ტურისტთა მოზიდვის მიზნით. უფროსი ასაკის ადამიანებისთვის პერიოდულად მიმდინარეობს კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ტრენინგები. ცენტრმა მისი ხელმძღვანელობის პერიოდში წარმატებით განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი როგორც სკოლისათვის, ასევე თემისთვის, მოიპოვა მხარდაჭერა და აღიარება როგორც „კრეატიული საქართველოს“ ფორუმზე, ასევე მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების მხრიდან.

2018 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ გამარჯვებულის ვინაობა, 5 ოქტომბერს, მასწავლებლების საერთაშორისო დღეს გახდება ცნობილი.

P.S. სოფელ დიმის №1 საჯარო სკოლაში სწავლის პერიოდში თავადაც მხვდა წილად მისი მოსწავლე ვყოფილიყავი. მართალია, ქალბატონი მანანა სულ რაღაც ორი წელი მასწავლიდა, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მისი გაკვეთილები დაუვიწყარი ყოფილიყო ჩემთვის თავისი მრავალფეროვნებითა და ორიგინალურობით – მის მიერ გამოყენებული აქტივობები და შეფასების სისტემა საშუალებას გვაძლევდა მოსწავლეებს ხალისით გვესწავლა ინგლისური ენა.

მარიამ ოქროჭელიძე

ᲙᲔᲜᲙᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ

პროექტ „დანერგე მომავალის“ მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს (შემდგომში ბაღების კომპონენტი) დაემატა ახალი ქვეკომპონენტი – „კენკროვანი კულტურები“, რომელიც ითვალისწინებს ლურჯი მოცვის, მაყვლისა და ჟოლოს ინტენსიური ბაღების გაშენების დაფინანსებას კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში.

„კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი“ ითვალისწინებს კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისათვის საჭირო ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემისა და სხვა საჭირო მასალების შეძენისა და მოწყობის ღირებულების 100% დაფინანსებას 0.15 ჰა-დან 0.5 ჰა-ს ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე.

ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსება გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან შემოსული განაცხად(ებ)ით მოთხოვნილი იქნება არანაკლებ 5 ჰა კენკროვანი კულტურ(ებ)ის ბაღის გაშენება.

ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაშვებია შემდეგი კენკროვანი კულტურების გაშენება: **ლურჯი მოცვი** (ერლი ბლუ, ონეილი, დიუკი, პატრიოტი, ლეგასი, ჩენდლერი, ბრიგიტა, ბლურეი, მისტი, ბლუკროპი, სპარტანი), **მაყვალი** (ჩესტერი, ტრიპლ-ქრაუნი), **ჟოლო** (ტულემინი, ნოვა, პრელუდია, კილარნი, გლენ ამპლი, ტულამეჯიკი, მოლინგ იუნო ჟოზეფინა, კაროლინა, ჰერიტეჯი, ოტომნ ბლისი, ოტომნ ტრეჟა, ფოლგოლდი,ოქტავია, ჯოან ჯეი).

ფინანსური დახმარება:

ქვეკომპონენტის ფარგლებში ფინანსური დახმარება ითვალისწინებს მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურის ბაღის გასაშენებლად ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას დაფინანსების სახით, მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურების ნერგების, სარწყავი სისტემის მოწყობის ან/და ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შეძენის მიზნით.

- დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების **100%,** როგორც ნერგების ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში. ამავდროულად, განსაზღვრულია თითოეულ ნერგზე დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გასაშენებელი ნერგების რაოდენობა.
- დაფინანსდება ერთ ბენეფიციარზე, ფიზიკური პირის შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ღირებულების 100%, მაგრამ არაუმეტეს 3 000 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).
- დაფინანსდება კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების ღირებულების 100%, განსაზღვრულია თითოეული მასალისათვის მაქსიმალური რაოდენობა.

ნერგის შეძენა უნდა განხორციელდეს ქვეკომპონენტის ფარგლებში შერჩეული ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობებიდან. ასევე წვეთოვანი საირიგაციო სისტემისა შეძენა/მონტაჟი და ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შეძენა უნდა განხორციელდეს შერჩეული კვალიფიციური კომპანიებისგან.

ტექნიკური დახმარება:

ტექნიკური დახმარება ითვალისწინებს შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას იმ პოტენციური ბენეფიციარებისათვის, რომლებიც სრულად წარადგენენ სააგენტოში პირველ ეტაპზე წარსადგენ დოკუმენტაციას. ტრენინგების დასრულების შემდგომ ტარდება ტრენინგგავლილი პირების ტესტირება შესწავლილ საკითხებში.

კენკროვანების ქვეკომპონენტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს:

- საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი ფიზიკური პირი;
- საქართველოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი.

ფიზიკური პირის შემთხვევაში:

დადგენილების ამოქმედების თარიღისთვის (2018 წლის 29 მაისი) პოტენციურ ბენეფიციარ ფიზიკურ პირს საკუთრებაში უნდა გააჩნდეს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 0.15 ჰა, ამავდროულად მის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ის ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 5 ჰა-ს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში:

დადგენილების ამოქმედების თარიღისთვის (2018 წლის 29 მაისი) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოცემული ორი პირობიდან ერთ-ერთს:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი. თითოეული მეპაიის მიერ შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 0.15 ჰა-დან არაუმეტეს 5 ჰა-ის ჩათვლით;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თითოეულ მეპაიეს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არანაკლებ 0.15 ჰა-დან არაუმეტეს 5 ჰა-ის ჩათვლით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, რომელსაც ქვეკომპონენტის პირობების შესაბამისად დაუფინანსდება არანაკლებ 5 ჰა კენკროვანი კულტურის ბაღი ერთ მუნიციპალიტეტში, სააგენტოს მიერ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემა პირველადი დასაწყობებისთვის საჭირო 1 ერთეული სტაციონალური მაცივარ-კონტეინერი, რომლის ტევადობა იქნება საშუალოდ ***20 ტონა***.

წინაპირობა:

- მიწის ნაკვეთის (სადაც იგეგმება კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენება) მიმდებარედ უნდა არსებობდეს ელექტროენერგიის წყარო (არაუმეტეს 800 მეტრის მანძილზე) ასევე უნდა ხდებოდეს მისი უზრუნველყოფა წყლის წყაროთი (არაუმეტეს 500 მეტრის მანძილზე), როგორიცაა მოქმედი სარწყავი არხი, მდინარე, ტბა, ჭა ან ჭაბურღილი (კომუნიკაციების მიყვანა მიწის ნაკვეთამდე ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით);
- მიწის ნაკვეთზე, სადაც იგეგმება კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენება, არ უნდა მდებარეობდეს შენობა- ნაგებობები და ნარგავები;
- მიწის ნაკვეთს, სადაც იგეგმება კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენება, არ უნდა ედოს ყადაღა.

ქვეკომპონენტში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა 2 ეტაპად უნდა წარადგინოს დოკუმენტაცია.

პირველად განაცხადზე წარსადგენი დოკუმენტების შეგროვების ეტაპები:

1. სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ მიერ გაცემული ცნობა განაცხადით გათვალისწინებული მრავალწლიანი კულტურისათვის ნაკვეთის ნიადაგის ვარგისიანობისა და შესაბამისობის შესახებ;
2. ზემოთ აღნიშნული ცნობის მისაღებად უნდა მიმართოთ ქვემოთ ჩამოთვლილი ლაბორატორიებიდან ერთ-ერთს ნიადაგის სინჯების ასაღებად და ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად:

* ოზურგეთი, ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“ – ანასეული, მეცნიერების ქ. №9;

* თბილისი, მულტიტესტი – კვების პროდუქტების, ნიადაგის წიაღისეულის გამოცდის ქიმიური ლაბორატორია – სოფ. დიღომი, დიდგორის ქ. 13;

* თბილისი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრი – დავით აღმაშენებლის ხეივანი №240.

დაფინანსების შემთხვევაში მიწის ანალიზისთვის გაწეული ხარჯი ანაზღაურდება.

პირველადი განაცხადის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროექტის პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში პოტენციური ბენეფიციარს ჩაუტარდება ტრენინგი და ტესტირება შესწავლილ საკითხებში.

მეორად განაცხადზე წარსადგენი დოკუმენტების შეგროვების ეტაპები

1. ტესტირების წარმატებით გავლის დამადასტურებლად წარადგენთ სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს მიერ გაცემულ დოკუმენტს (წერილობითი დასტური ან/და სერთიფიკატი).
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა მიწის ნაკვეთის დამუშავების შესახებ.
3. წარმოადგინეთ ნერგების შესყიდვის ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;
4. წარმოადგინეთ შესასყიდი სარწყავი სისტემის (წვეთოვანი ირიგაცია, სპრინკლერ-ირიგაცია) ინვოისები ან ხელშეკრულება ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;
5. წარმოადგინეთ კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შესყიდვის ინვოისები ან ხელშეკრულება ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;
6. შეავსებთ მეორადი განაცხადის სტანდარტულ ფორმას;
7. წარმოადგენთ შევსებულ მეორად განაცხადს და თანმდევ დოკუმენტაციას სააგენტოში განსახილველად.

განაცხადის დამტკიცების შემდგომ ფორმდება ხელშეკრულება დაფინანსების შესახებ.

დეტალური ინფორმაციისათვის ეწვიეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართს: http://apma.ge/projects/read/plant_future/71:child

თვიერ თვალმოგ

***

29 აგვისტოს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი შავლეგო ტაბატაძე ბაღდათის მუნიციპალიტეტს ესტუმრა და თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა. მერმა არჩილ გოგსაძემ გუბერნატორს მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა დეტალურად გააცნო. შეხვედრას ესწრებოდნენ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე, მერის მოადგილეები, საკრებულოს, მერიისა და ა.(ა).ი.პ.-ების წარმომადგენლები. დღესვე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი სამტრედიისა და ვანის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა და არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოისმინა. მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელებმა 2018 წელს მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრეს.

„დღევანდელი დღის ჩათვლით 9 მუნიციპალიტეტში უკვე ვიყავი და გავეცანი თითოეულ მათგანში რა პროექტები ხორციელდება და რა არის გასაკეთებელი უკეთესი ხვალინდელი დღისთვის. ჩემი შეხვედრების მთავარი ამოცანაა სიღრმისეულად გავეცნო ყველა საკითხსა თუ პრობლემას, რადგან სწორი ანალიზი გავაკეთო რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ეტაპობრივად მოვაგვაროთ. გარდა თვითმმართველობის წარმომადგენლებისა აუცილებლად შევხვდები მოქალაქეებს და მათგანაც მოვისმენ რა არის მათთვის პრიორიტეტი. გაძლევთ პირობას, რომ თითოეული თქვენგანი აქტიურად ჩაერთვებით მუნიციპალიტეტის განვითარებაში და ერთად განვსაზღვრავთ 2019 წლის პრიორიტეტებს“ - აღნიშნა იმერეთის გუბერნატორმა შავლეგო ტაბატაძემ.

***

15 სექტემბერს მსოფლიო დასუფთავების დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით ბაღდათის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია მოეწყო. მასში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტში არსებული ა.ა.ი.პ-ების თანამშრომლები. აქციის ფარგლებში დასუფთავდა ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ეზო, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია და სოფელ ვარციხეში ისტორიული როდოპოლისის ციხის ტერიტორია. აქციის ბოლოს ა.(ა).ი.პ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის თანამშრომლებმა ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეები დარგეს.

***

19-20 სექტემბერს ბაღდათის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ პირველკლასელებს ახალი სასწავლო წელი მიულოცა – ქალაქ ბაღდათის №1 და №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. პატარებს საბავშვო ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდეგ შემეცნებით-გასართობი ხასიათის გაკვეთილი ჩაუტარდათ. ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეებს გაეცნოთ, თუ რა დანიშნულება აქვს ბიბლიოთეკას და რა შესაძლებლობებს აძლევს მათ ეს სივრცე. ღონისძიების დასრულების შემდეგ პირველკლასელებს ა.(ა).ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრისგან სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ღონისძიება არ დასრულებულა და ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა სოფლების საჯარო სკოლების პირველკლასელებსაც უმასპინძლებს.

***

25 სექტემბერს, ადგილობრივების მონაწილეობით, სოფელ როხის საერთო-სახალხო დღესასწაული აღინიშნა. დღის განმავლობაში სხვადასხვა სახის ღონისძიება გაიმართა: როხის წინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონმა (ბულუხია) პარაკლისი გადაიხადა, სოფლის ცენტრში გაიხსნა სკვერი, როხის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მუსიკალურ-ლიტერატურული ღონისძიება გამართეს. სოფლის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ოთხ ადგილობრივ მაცხოვრებელს – ღვაწლმოსილ პედაგოგ სონია გაჩეჩილაძეს, ექიმ ლელა ბრეგაძეს, მამა გიორგი (ბერაიას) და მაია როხვაძეს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. სოფელ როხში საერო-სახალხო დღესასწაული ტრადიციულად ღვთისმშობლობის შობის დღეს აღინიშნებოდა. იგი მრავალი წლის განმავლობაში დავიწყებას მიეცა და წელს როხის მაჟორიტარი დეპუტატის თორნიკე გაჩეჩილაძის ინიციატივითა და ადგილობრივების მხარდაჭერით აღდგა.

სოფლის დღესასწაული ადგილობრივებს ბაღდათის საკრებულოს თავმჯდომარემ შალვა მშვილდაძემ, მერის პირველმა მოადგილემ კახა ენუქიძემ და მოწვეულმა სტუმრებმა მიულოცეს.

***

ბაღდათის მუნიციპალიტეტში 27 სექტემბერს – სოხუმის დაცემის დღეს დაღუპული გმირები გაიხსენეს. ბაღდათის საკათედრო ტაძარში სასულიერო პირებმა მათი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოძღვრებთან და მრევლთან ერთად მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს ომში დაღუპულ გმირებს. მათი ოჯახის წევრებს მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა ერთჯერადად ფულადი საჩუქარი გადასცა.

1993 წლის 27 სექტემბერი – საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველზე ტრაგიკული დღეა. საომარი დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და წელიწადი, ორი თვე და 13 დღე გრძელდებოდა. დაპირისპირება 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით და საქართველოს შეიარაღებული ძალების დამარცხებით დასრულდა. აფხაზეთის ომმა მრავალი ადამინის სიცოცხლე შეიწირა, ბევრი მათგანი უგზოუკვლოდაა დაკარგული, ხოლო ცოცხლად დარჩენილთა უმრავლესობა იძულებული გახდა საკუთარი საცხოვრებელი დაეტოვებინა.

ღვთისმშობლის სახელობის ტაძრები

21 სექტემბერს მართლმადიდებელი ეკლესია ღვთისმშობლის შობას აღნიშნავს. მარიამ ღვთისმშობელს ქრისტიანულ სამყაროში, მათ შორის საქართველოში, განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან ბიბლიის მიხედვით საქართველოს გაქრისტიანება სწორედ ღვთისმშობელს ხვდა წილად. მარიამის დაბადება მოულოდნელი იყო, გადმოცემის მიხედვით, მისი დედა - ანა უნაყოფო იყო, მაგრამ მას და მის მეუღლე იოაკიმეს ჰქონდათ ღვთის რწმენა. ღმერთმა შეისმინა მათი ვედრება და ანას ეყოლა გოგო, რომელსაც ანგელოზის დავალებით „მარიამი“ დაარქვეს, რაც ებრაულად „ქალბატონს“ ან „იმედს“ ნიშნავს.

საქართველოში ღვთისმშობლის სახელზე მრავალი ეკლესია-მონასტერი არის აშენებული, მათ შორის რამდენიმე ბაღდათის მუნიციპალიტეტში მდებარეობს:

სოფელ ვარციხის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი – ვარციხეში, როდოპოლისის ციხის ტერიტორიაზე, ყოფილა, დაახლოებით IV ს-ში აგებული, რომელიც ბუნებრივმა კატაკლიზმებმა და მტერთა შემოსევამ მთლიანად დაანგრია. მისი აღდგენა XIX საუკუნეში მოხდა.

სოფელ I ობჩის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი – დღეს მოქმედი ტაძარი ადრე წმ. გიორგის სახელზე იყო აშენებული, ხოლო ახალი ეპარქიის შექმნის შემდეგ სახელი გადაარქვეს.

სოფელ II ობჩის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი ახალი აშენებულია მშვილდაძეების უბანში, სასაფლაოზე. გადმოცემის მიხედვით, აქ ადრეც ყოფილა ამავე სახელობის ტაძარი, მაგრამ მთლიანად დანგრეულა. ახალი ტაძარი ძველი ტაძრის ადგილიდან ცოტა მოშორებით აუშენებიათ, რადგან იმ დროს იქ უკვე საფლავები იყო.

სოფელ ფერსათის ღვთისმშობლის შობის ტაძარიც ახალი აგებულია. მთავარი ქტიტორი (შემომწირველი) იყო კალისტრატე კახიანი, თუმცა სხვებიც ჯეროვნად შეეწია ამ მშენებლობას. ტაძრის მშენებლობა 2007 წელს დასრულდა.

სოფელ წითელხევის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანის სახელობის ეკლესია (თეთრი ეკლესია) – ე.წ. თეთრი ეკლესია, აშენდა XIX ს-ში. გასაბჭოების შემდეგ, როგორც ბევრი სხვა, ეს ეკლესიაც დაიხურა, მაგრამ სხვა ტაძრებისაგან განსხვავებით ის არ დაუნგრევით. ახალი ეპარქიის აღდგენის შემდეგ (XX ს-ის 90-იან წლებში) ის იყო ერთ-ერთი პირველი ტაძარი, რომელიც ამოქმედდა.

ბაღდათის საკათედრო ტაძრის მეორე სართული, რომლის მშენებლობაც 2003 წელს დაიწყო, 2011 წელს ივერიის ღვთისმშობლის სახელზე ეკურთხა. ასევე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარია გოთიეთში ანდრია პირველწოდებულის სახელობის მონასტერის ტერიტორიაზე.

ჯუანშერ გეგეშიძე

როკითის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბევრი მოქმედი, დახურული თუ დანგრეული ეკლესიები მდებარეობს მათ შორის თავისი ადგილი უკავია სოფელ როკითის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარს.

სოფელ როკითი ქალაქ ბაღდათიდან 5,2 კმ-ში მდებარეობს. ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორიაზე აქ გადიოდა ე.წ. აბრეშუმის გზის ერთ-ერთი მთავარი განშტოება. გადმოცემის თანახმად, მდინარე ხანისწყლის მარჯვენა მხარეს იქ, სადაც დღეს როკითის ეკლესია დგას, შუა საუკუნეებში მდებარეობდა საპატიო სტუმრებისა და სამეფო დიდგვაროვანთა მოსასვენებელი რეზიდენცია. როდესაც საქართველო გადაიქცა მრავალი მტრის სათარეშოდ, დიდმა სავაჭრო ქარავნებმა ამ გზით სარგებლობა შეწყვიტეს და შესაბამისად რეზიდენტებმაც თავისი მისია დაკარგეს. აღნიშნული ტერიტორიაზე 1661 წლიდან დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა (რომელიც ერთდროულად ქუთათელი მთავარეპისკოპოსიც იყო) სვიმონ ჩხეტიძის თაოსნობითა და აფხაზეთის მთავრის შარვაშიძის შემოწირულობით დაიწყო მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ეკლესიის მშენებლობა, რომელიც დასრულდა 1666 წელს. მე-20 საუკუნეში ტაძარი ჯერ დაკეტეს, შემდეგ გადახადეს სახურავი და სხვა მიზნებისთვის გამოიყენეს. 1997 წლიდან ტაძარში ვანი-ბაღდათის ეპარქიის მიტროპოლიტ ანტონის ლოცვა-კურთხევის შემდეგ წირვა-ლოცვა დაიწყო.

სოფელ როკითის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარი გამოირჩევა იმით, რომ ბაღდათში არსებული ძველი ეკლესიებიდან მხოლოდ აქ არის შემორჩენილი ასომთავრული ეპიგრაფიკა, საიდანაც ვგებულობთ ამ ეკლესიის აშენების თარიღსა და აღმშენებლის ვინაობას.

2016 წელს აღინიშნა ტაძრის დაარსებიდან 350 წლისთავი.

ჯუანშერ გეგეშიძე

„ჩემი გაზეთი“ ახალი სეზონიდან სიახლეებს გთავაზობთ.

ვიწყებთ მუშაობას რეკლამებსა და განცხადებებზე. მსურველებმა დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომრებზე: 595 538 536 ან 591 00 76 54.

განახლდა რუბრიკა „ჩემი გაზეთი შენია“. შემოქმედებით ახალგაზრდებს საშუალებას ვაძლებთ თავიანთი ნაშრომები გამოაქვეყნონ გაზეთის ფურცლებზე. მსურველებმა თქვენი ჩანახატები და ლექსები მოგვაწოდეთ ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკის მე-2 სართულზე ან გამოგვიგზავნეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: chemigazeti@gmail.com

ჩვენი გუნდი შეეცდება ახალი და განახლებული რუბრიკებით მოგაწოდოთ საინტერესო ინფორმაციები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“